MES 8 22 0000011386

11/01/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ქეთევან ბოტკოველი** - სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის პედაგოგი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს მდივანი;
4. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
5. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
6. **პერტე ბაბილუა** - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
7. **ლიანა კობესაშვილი** - შპს „ინტელექტი XXI - ის“ მასწავლებელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
8. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
9. **ეკატერინე კვირიკაშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
10. **ზვიად გოგუაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

3. სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი:
ხათუნა ბარაბაძე

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისი
სკოლის გამგეობის წევრი - ბარბარა ჯიმელი სულაშვილი
სკოლის გამგეობის წევრი - თეა როგავა
სკოლის იურისტი - თინათინ ქანთარია

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკა
სკოლის დირექტორი - თამარ მაისურაძე

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ა(ა)იპ - ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისი
ვერა ყურულაშვილი
მაკა ჭიაბერაშვილი

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკა
მაკა ტუკვაძე
ლელა ჯაში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2021 წლის 22 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის გამოქვეყნებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. „შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 20 ივლისის N39 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. „შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 20 ივლისის N39 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ ,,შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 20 ივლისის N39 გადაწყვეტილებაში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში სკოლის სახელწოდება იყო არასწორად მითითებული. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო აღნიშნულ გადაწყვეტილებაში და დაკორექტირებულიყო დაწესებულების სახელწოდება მე-2 პუნქტში.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 20 ივლისის N39 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ,,შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 20 ივლისის N39 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„2. შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 840-ით.“

2. ა(ა)იპ - ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა მიმდინარე წლის 17 ნოემბრის სხდომის საბჭოს გადაწყვეტილება ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის ავტორიზაციის საკითხის

განხილვის გადადების თაობაზე. საბჭოს შეფასებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა საჭიროებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებას. საბჭოს შუამდგომლობა იყო მიემართა სკოლას აღნიშნულის თაობაზე სამინისტროსთვის და წარმოედგინა მათი პოზიცია დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმასთან მიმართებით, მათ შორის საათობრივ ბადესთან და სასკოლო პროგრამების შეთანხმებასთან დაკავშირებით. ასევე, სკოლის უსაფრთხოების მარეგულირებელ დოკუმენტთან დაკავშირებითაც. ამასთან, საბჭოს შუამდგოლობას ცენტრთან წარმოადგენდა, რომ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიეღო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს და წარმოედგინა მისი პოზიცია. შესაბამისად, საკითხის განხილვა გადადებული იყო ადმინისტრაციული წარმოების დარჩენილი ვადის გათვალისწინებით.

ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, სხდომაზე მოწვეული იყო სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, ხათუნა ბარაბაძე.

ექსპერტის განმარტებით, სკოლამ წარმოადგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარდგენილი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა იყო სამინისტროსთვის მისაღები და, რომლის მიხედვითაც სკოლას ჰქონდა უფლება ეხელმძღვანელა ამ სასკოლო სასწავლო გეგმით. აქედან გამომდინრე, სასკოლო სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით ექსპერტებს აღარ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები და რეკომენდაციები. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ სკოლამ ყველა პედაგოგი მიიღო კონკურსის წესით და ზოგადად ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით წერილით მიმართა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, სადაც მოხსენიებული იყო ყველა მასწავლებელი, რომელიც სკოლასთან ითანამშრომლებდა ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ.

საბჭოს თავჯდომარემ დაადასტურა, რომ საბჭოს მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე სკოლის მხრიდან წარმოდგენილი იყო აღნიშნული დოკუმენტაცია.

ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში კვლავ არ იყო წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, თუ როგორ ხდებოდა ვალდორფის პედაგოგიკის განხორციელება. თუმცა, რადგან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განაცხადა თანხმობა ამასთან დაკავშირებით, ექსპერტებმაც გაიზიარეს სამინისტროს მოსაზრება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს დაეფიქსირებინა მოსაზრება სკოლის ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ სანამ დაწესებულებას არ ექნებოდა მინიჭებული ავტორიზაცია, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა დარეგისტრირებულიყო მასწავლებლის სახლის მიერ გამოცხადებულ ვებ-გვერდზე (teachersjob.ge; pedagogi.ge) და გამოეცხადებინა ვაკანსია. მან აღნიშნა, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს მიმართა სკოლამ და მათ ბაზაში დაამატეს როგორც ავტორიზაციის მაძიებელი სკოლა, რის საფუძველზეც სკოლას მიეცა შესაძლებლობა, რომ გამოეცხადებინა კონკურსი. აქვე მან დასძინა, რომ სკოლამ კანონმდებლობის შესაბამისად გამოაცხადა კონკურსი და მიიღო კადრები, თუმცა მისი განცხადებით, მასწავლებლებს მას შემდეგ მიენიჭებოდათ სტატუსები, რაც სკოლა მიიღებდა ავტორიზაციას და ამის შემდეგ შეძლებდნენ სკოლის მასწავლებლები მასწავლებელთა

პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვას. ამასთან,ხათუნა ბარაბაძემ წარმოადგინა შუამდგომლობა საბჭოსა და განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის წინაშე ავტორიზაციის მაძიებელ სკოლებთან დაკავშირებით, რომ მათ წინასწარ მიმართონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს მსგავსი საკითხის განსახილველად, რაც მომავალში აღარ გამოიწვევდა საქმის შეფერხებას. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმა და ცენტრის წარმომადგენლებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

სკოლის წარმომადგენელმა, გამგეობის წევრმა, თეა როგავამ მადლობა გადაუხადა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს, ხათუნა ბარაბაძეს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ცენტრს თანამშრომლობისთვის და ეფექტური კომუნიკაციისთვის.

საბჭოს წევრმა, პერტე ბაბილუამ აღნიშნა, რომ დოკუმენტაციაში იკითხებოდა კავშირი სასკოლო პროგრამებსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას შორის. მან დასძინა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლას ჰქონდა დიდი შრომა გაწეული აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, თუ რატომ უნდა ყოფილიყო საჭირო წინასწარ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის მიმართვა, როდესაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-8 მუხლის მე-2 ქვესტანდარტით უკვე გათვალისწინებული იყო სკოლის ადამიანური რესურსის შერჩევა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. რაზეც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, ხათუნა ბარაბაძემ უპასუხა, რომ აღნიშნული მომართვა ეხებოდა მხოლოდ მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდზე ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების მიერ ვაკანსიის გამოქვეყნებას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 90 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის ა(ა)იპ - ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისისსკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისს (405134322) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90 - ით.

3. შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და ლელა ჯაშმა. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად. ექსპერტ, მაკა ტუკვაძის განცხადებით, შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკას მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად ერთ დღიანი ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 18 ნოემბერს. ბრძანების თანახმად, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 09 სექტემბრის №886278 სხდომის ოქმში ასახული გარემოებების, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს შემოწმდა სკოლის პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან. ექსპერტის განმარტებით სკოლამ დაამონტაჟა პანდუსი სასკოლო დარბაზის შესასვლელთან, ასევე, მოაწესრიგა სველი წერილი შშმ პირებისთვის. რაც შეეხება პროგრამულ ნაწილს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ისინი გაეცნენ სკოლის ახალ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომლის მიხედვითაც სკოლას შემუშავებული ჰქონდა მრავალფეროვანი შემაჯამებელი სამუშაოები, რასთან დაკავშირებითაც ხარვეზი ჰქონდა სკოლას დადგენილი, რადგან მხოლოდ ტესტური ტიპის დავალებები იყო შეტანილი შემაჯამებელ დავალებებში. ექსპერტის თქმით, აღნიშნული სკოლამ გამოასწორა და სასკოლო სასწავლო გეგმაში შეიტანა კომპლექსური დავალებები მიმდინარე სასწავლო წლისთვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი ძირითადი ხარვეზი იყო ვებ-გვერდის არ არსებობა, რაც

რეკომენდაციის სახით მიეცა სკოლას. მან დაამატა, რომ სკოლამ აღნიშნული ხარვეზი გამოასწორა და გამართა ვებ-გვერდის ფუნქციონირება.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ისაუბრა სკოლის ადამიანური რესურსის შესაბამისობის შესახებ ავტორიზაციის სტანდარტთან და მან აღნიშნა, რომ მასწავლებლებთან და სკოლის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები იყო იდენტური, თუმცა არსებობდა ცალკე დოკუმენტი, სადაც დეტალურად იყო გაწერილი თითოეული დასაქმებულის უფლება-მოვალეობა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ ვიზიტის დროსვე გამოასწორა აღნიშნული ხარვეზი ადმინისტრაციული ბრძანების საშუალებით. ექსპერტმა დასშინა, რომ მიესალმება სკოლაში ახალგაზრდა კადრების არსებობას, რომლებიც თანამშრომლობდნენ ავტორიზაციის ექსპერტებთანაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

სკოლის დირექტორმა, თამარ მაისურაძემ ხაზი გაუსვა ექსპერტების საქმიანობისა და თანამშრომლობის მაღალ ხარისხს. მან ისაუბრა იმ მიზეზებზე, თუ რატომ იყო ხარვეზი სკოლის ვებ-გვერდთან დაკავშირებით და დაამატა, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილი იყო და სკოლის ვებ-გვერდი მუშაობდა გამართულად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები ხომ არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ მიმართა კითხვით სკოლის წარმომადგენელს, თუ რამდენი უსტატუსო მასწავლებელი ჰყავდა სკოლას დარჩენილი, რადგანაც მონიტორინგამდე სკოლას ჰყავდა 18 უსტატუსო მასწავლებელი, საიდანაც 4 მასწავლებლის შესახებ სკოლამ გააკეთა მიმართვა. რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 2 მასწავლებლის სტატუსი სკოლას მიღებული ჰქონდა, 2 მასწავლებელთან დაკავშირებით ხარვეზი იყო დაფიქსირებული და მასწავლებელთა სახლიდან ელოდებოდა სკოლა ხარვეზის აღმოფხვრას, ასევე, 2 მასწავლებელი სტატუსის მოლოდინის რეჟიმში იყო. დანარჩენი მასწავლებლები იყვნენ უსტატუსო, რომელთაგანაც 2 მოწვეული მასწავლებლის სტატუსით ჰყავდა სკოლას აყვანილი, ხოლო დანარჩენებისთვის სკოლა გეგმავდა ვაკანსიის გამოცხადებას.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ სკოლას მისცა რეკომენდაცია, რომ ექსპერტების რჩევები მიეღოთ როგორც განმავითარებელი შეფასება, რაც სკოლას მისცემდა განვითარების პერსპექტივასა და შესაძლებლობას, რომელიც იქნებოდა გრძელვადიანი. რასაც დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიიჩნიეს, რომ შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკამ გამოასწორა მონიტორინგის დროს დაფიქსირებული ხარვეზები და აკმაყოფილებდა მოთხოვნილ სტანდარტებს.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოტკოველი ქეთევან